სამშაბათი, 25 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 285

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გლისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

შორაპნის მაზრის სოფ. კვალითში მცხოვრები მღვდელი **გიგო როსტომის ძე ბაკურაძე** მეუღლით, შვილებით და სიძეებით, გულითად მწუხარებაში მყოფი, აუწყებს ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთა და პატივის მცემელთ, რომ მისის უუსაყვარლესის შვილის უდროოდ გარდაცვალებულის ტფილისის სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწაფის

## სევერიანე ბაკურაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სამს იანვარს 1908 წელს, ხუთშაბათს, სოფ. კვალითში წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—534—1)

**ბარბარე გიორგის ასული, ნესტორ, ვასილ და სამსონ იოსების ძენი ბეჟანეიშვილები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი და მეორე—ძვირფას შვილის, დანარჩენნი—ძმის წულის

## ანასტასია ნესტორის ასულის ბეჟანეიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 27 დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზედ. (2—3—2)

## ძმ. ნიკიტინებ.ს ცირკი.



26 დეკემბერს, 1907 წელს, **ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა**. დილით დაკლებულის ფასებით „ბავშვების დილა". დასაწყისი 2 საათ. სპეციალური პროგრამმა ბავშვებისთვის. მონაწ. იღებენ ცხენოსანნი, გიმნასტები, აკრობატები, კლოუნები. პირველად „წითელი გერტი". საღამოთი ყველას მონაწილეობით დიდებული წარმოდ. სამ განყოფილებად. სხვათა შორის ჰაერში გაფრენა ლეოტორდისა. ჰაერში ვარჯიშობა ტრიო დეხურტს. ცირკის ჭერიდან გადმოხტომა. ამერიკული ტრონპოლინი. გადახტომა რვა ცხენზე. ყველანი იღებენ მონაწილეობას. დასასრულ დიდი ფეერია, ბალეტი, აპოთეოზი ანტონიოს მონაწილეობით. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში.

(1—517—1) დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**.

### მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

# „ექსელანსი"

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვემოდ

## აცხადებს,

რომ, „ექსელანსის" ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველასაქონლის ფასები

## დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია", ქალებისა და ვაჟების გაუქლენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

### ფასები საქარხნო და შეუდარებლად

„ექსელანსის" ამ—ბამ კრონშტადტის გამოფენაზე მიიღო

## ოქროს მედალი

(10—493—6)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

30 დეკემბერს, **დილის წარმოდგენა დაკლებულის ფასებით** წარმოდგენილი იქნება:

„ი ვ ა ნ ე მ ე ფ ი ს ძ ე"

ფანტასტიური ზღაპარი სიმღერით და ბალეტით

ბალეტი ორ სურათად. ბალეტში მონაწილეობას იღებენ ბავშვები და მთელი ბალეტი. დასდგამს ბალეტს, ბალეტმეისტერი ა. ა. რომანოვსკი. ბილეთები იყიდება.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი**. დასაწყისი 8 საათზე. (0—24)

### დამზადებულ ტანისამოსის მაღაზიას

## ს. რ. დოვლათოვისას

(გოლოვინის პრ., სახ. მირიმანოვისა, სასახლის პირდაპირ)

აქვს პატივი აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან განზრახულია მაღაზიის გადაკეთება

## ✦ დაიწყო ✦

## დიდი იაფობა

იმ საქონლისა, რაც მაღაზიაშია—ყოველგვარ დამზადებულ ტანისამოსისა იმედი მაქვს, რომ პატივცემული მუშტარი ისარგებლებს შემთხვევით და შეიძენს იაფად უკანასკნელ ფასონის საუკეთესო ტანისამოსს.

(4—ხალ.—4) პატივისცემით **ს. რ. დოვლათოვი**.

„ტფილისის კრუჟოკის" დარბაზში

6 იანვარს 1908 წ. გაიმართება

## ბ ა ლ ი

ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის სასარგებლოდ.

შესასვლელ ბარათის ფასი 2 მან. 10 კაპ.

(6—6.—8) პასუხის მგებელი გამგე **ქნ. ი. ქ. თუმანიშვილისა**.

## თამბაქოს ქარხანა

სააქ. საზ. „მირისა" ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. ✦:✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—27)

### „ტფილისის სობრანიე"

„ტფ. სობრანიეს" საბჭო აუწყებს ბ-ნი წევრებს, რომ ამა წლის 28 დეკემბრისთვის დანიშნულია გაგრძელება საზოგადო კრებისა. ამ კრებაზე მოხდება კენჭის ყრა ახალ კანდიდატების მისაღებად. კრება განიხილავს აგრეთვე საკითხს საქმის-მწარმოებლის ხოჯი-ეიანიტოვის არ წესიერ მოქმედების შესახებ. (2—529—2)

**სახაზინო თეატრი. საოპერო დასი**

სადღესასწაულო რეპერტუარი

26 დეკემბერს დილით—«რუსლან და ლიუდმილა», გლინკასი.
საღამოთი—«ევგენი ონეგინი», ჩაიკოვსკისა.

27 » დილით — «ასკოლდის საფლავი», ვერსტოვსკისა.
საღამოთი—«ფაუსტი» ველპ. საღამოთი, გუნოსი.

28 » კოპპოლას მონაწ. «ებრაელი ქალი», გალევისა.

30 » დილით—«ივანე მეფის ძე», ფეერია, მუს. ენდრეიევსკისა და «ფეია ტიკინებისა»—ბალეტი.
საღამოთი—„კარმენი", ბიზესი.

31 » საღამ.—«ასე სთქვა მეფემ», დელიბასი.

1 იანვარს დილით—«კნიაზ იგორი», ბოროდინისა.
საღამოთი—კოპპოლას მონაწილეობით «ჰუგენოტები», მეიერბერისა.

2 » საღამოთი—«კორნევილის ზარები», პლანკეტისა.

3 » საღამ.—კოპპოლას მონაწ. «ტოსკა», პუჩინისა.

4 » საღამ.—ბენეფ. ოკუნევისა «ბოჰემა», პუჩინისა.

6 » დილით—«სნეგურიჩკა», რიმსკი-კორსაკოვისა.
საღამოთი—კოპპოლას მონაწ. «აფრიკელი ქალი», მეიერბერისა.

7 » საღამ.—«ბოშათა ბარონი», სტრაუსისა.

ფასები: საღამოთი ჩვეულებრივი, დილით დაკლებული. (4—6.—4)

გ ა მ ო ვ ი დ ა

## ნიშადური № 18

(საშობაო ნომერი)

იყიდება ყველგან 10 კაპიკად

„ტფილისის სობრანიე"

„ტფილისის სობრანიეს" მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, კანდიდატებს, მათ სახლობას და სტუმრებს, რომ რადგან 25-ს დეკემბერს და 1 იანვარს 1908 წელს „სობრანიე" დაკეტილი იქნება, ამისათვის ამ დღეებისმაგივრად საოჯახო საღამოები გაიმართება 26 დეკემბერს და 2 იანვარს 1908 წელს. (2—529—1)

## წარმოდგენა-კონცერტი

**„წერა-კითხვის საზოგადოების"** სასარგებლოდ გაიმართება 1908 წ. იანვრის 22 ს. (3—3)

### „ცული ძირთა თანა ხეასა სძევს".

(სახარება ლუკასი თავი 3-ე).

მმართველი გალილეისა, დიდი იროდი წარბ შეკრული იჯდა ხეივნის ქვეშ მარგალიტებით მოჭედილს სავარძელში. გნებათაგან მოტეხილს, ისედაც ფერმკრთალს დანაოჭებულს მის სახეს მთვარის შუქი ისეთ გამომეტყველებას აძლევდა, თითქოს მთავარი ცოცხალი კი არა, მკვდარი მესვენებინათ. ისეთნაირად იყო ფიქრებით გატაცებული, რომ ვერა გრძნობდა თავის ირგვლივ მოფენილს მშვენიერ ყვავილთა სურნელებას, არ ესმოდა არა თუ გედების ფრთების ფრთხიალი, რომელნიც იმის ახლოს აუზში ბანაობდნენ, არამედ ლომის ღრიალიც კი, რომელიც სასახლის წინ დიდ მარმარილოს ბოძზე იყო მიბმული. ორი დარაჯი სულ განაბული იდგა იმის უკან. მათ თავისი სუნთქვისაც კი ეშინოდათ, რომ ბრძანებელი არ განრისხებულიყო.

ეჭვი არ იყო, გალილეის მეფე-მმართველი საშინელს ნაღველს შეეპყრო. მისი ფიქრი საშინელ სურათს დასტრიალებდა.

— „ცული ძირთა თანა ხეთასა სძევს. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას!" — მოისმა უცებ ვიღაცის ხმა. ეს ხმა ისე გრგვინავდა სადღაც მიწის წიაღიდან, თითქოს სურდა ამოვარდნილიყო ზევით და დედამიწას მოვლინებოდა გამანადგურებელ ცეცხლად.

იროდი შეკრთა, სავარძლიდან წამოიწია, ჩაცვივნულს ლოყებს ქვეშ საშინლად დააჩხრიალა კბილები და გაბრაზებულმა კვერთხის წვერი მიწაში ჩაასო.

— „ყოველნი ხევნები აღმოივსოს და ყოველნი მთანი და ბორცვნი დამდაბლდენენ, აღარ იყოს ბატონი არცა თუ მონა, არამედ ერთნი!" — მოისმა იგივე გრგვინავი ხმა.

იროდი უფრო ძლიერ განარისხა ამ სიტყვებმა, თვალები ალმასივით აენთო, სახე მოეღმიჯა და ყელში ბრაზ მობჯენილმა ძლივს წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა. ეს იყო ბრძანება, რომლის გაგონებაზე ერთი დარაჯთაგანი ჩქარის ნაბიჯით გაემართა იქით, საიდანაც მგრგვინავი ხმა მოისმოდა. მალე მბრძანებლის წინ დარაჯებმა დააყენეს შეკრული, აქლემის ტყავით შემოსილი, მხარბეჭ განიერი ახოვანი კაცი. ეს იყო მქადაგებელი იოანე, რომელიც იროდიმ კარგა ხანია, რაც დაატუსაღა და ხელ-ფეხ შეკრული ორმოში ჩააგდო.

ამ დიდგულოვან ადამიანისთვის, რომელიც თავისუფლებაშიაც უბედავდა იროდის მხილებას, რომელიც უარს ჰყოფდა ყოველსავე ფუფუნებას და იკვებებოდა უდაბნოში გარეულის თაფლით და კალიით, ვერაფერი დააკლო ვერც ნესტიან ორმოს, ვერც ტუსაღობას. იგი ჩვეულებრივ ამაყად წარსდგა იროდის წინაშე და მიაჩერა თავისი მკაცრი თვალები.

— ებრაელთ მონავ, შენ სდგეხარ წინაშე გალილეის მბრძანებლისა! შეჰყვირა იროდიმ და ფეხზე წამომდგარი აკანკალდა მთელის ტანით.

— აწ მოიწია ჟამი და მოვალს უძლიერეს ჩემისა, ხელთა მისთა ნიჩაბი განსწმენდს კალოსა, შეკრებს იფქლსა საუნჯესა თვისსა და ღვარძლსა დასწვავს ცეცხლითა უშრეტითა! მიუგო იოანემ თამამად. მისი თვალები უფრო გაელვარდნენ. ის მიაშტერდა ლაჟვარდოვან ცას, თითქოს იგი ხედავდა „ცეცხლსა უშრეტსა ღვარძლსა ზედა".

— ეგ სიგიჟეა, ებრაელნო, თქვენი ღმერთების—შეჰყვირა იროდიმ:—არა მწამს იგინი და არც მათი მქადაგებელი! ვინ და მიდგება წინ, მე, მეფეს გალილეისას! აი, ამ კვერთხს შეუძლიან ხალხის სიცოცხლე და ამავე დროს იმის სიკვდილიც ამავ კვერთხშია, იმის გაქნევაზე ჩემი ლეგიონის მძლავრი შუბები მთელს გალილეას თავის წვერებზე წამოაგებენ. და ვაი იმას, ვინც გახდება ჩემი წინაამდეგი, თვით დედის სამოს დასწყევლიან, რათა გვშობეო. ორმო და ციხე, რკინის ჯაჭვი, თავსაკვეთელი მთელს გალილეას აწ მოვსდევს მე ქსელივითა და ტახტი ჩემი, ვიდრე ცაზე დაცურავს მთვარე და ვიდრე მიწა, ვით არშიყი, შეჰყურებს მარეხს, იდგმება მაგრა შვილიშვილთა გადასაცემად. ხალხი მონაა, ჩემს წინაშე წამოჩოქილი, თვითონ ღმერთებმა თავიანთი სწორი მე დამიძახეს. იმათ გადმომცეს ეს კვერთხი, მათგან ნაკურთხი, და შენ ვით ჰბედავ, ვითომ შენი ახალი ღმერთი მე, გვირგვინოსანს, შემებმება და ტახტს წამართმევს! რომ ბრძანებლობს, იგი განაგებს მთელს დედამიწას და მისი ღმერთნი, ძლიერებით ყველგან განთქმულნი, მთლად შემუსრავენ, დაამხობენ იმ თქვენს ახალს ღმერთს, რომელსაც მოაქვს ქვეყნისათვის უშრეტი ცეცხლი! იცოდე მონავ, თვით ჯოჯოხეთს აღემატება ჩემი რისხვა და ჩემი გენია. მონათა გვამებით შემოვარტყავ ციხეს ჩემს ტახტსა. და ეგ ამაყი შენი ქედიც მალე ჯალათის მახვილის ქვეშ ძირს დაიხრება. ელოდე სიკვდილს, ხვალ ტრაპეზზე ვნახავ შენს თავსა!

იროდი გაჩუმდა. იგი თითქოს დაამშვიდა თავისსავე სიტყვებმა. მიესვენა სავარძელზე და ხელის გაქნევით ანიშნა, რომ იოანე წაეყვანათ ისევ ორმოში.

ცოტა ხნის შემდეგ მან მოითხოვა კვიპროსის ღვინო და რამდენისამე ჭიქის შემდეგ კვლავ ფიქრს მიეცა. მისი სახე თანდათან იცვლებოდა, თვალებში ვნებათ ღელვის ნაპერწკლები აუთამაშდა, ლოყები წამოუწითლდა, შუბლის ნაოჭი გაეშალა. ეჭვი არ იყო, მისი გონება, მისი ფიქრი კვიპროსის ღვინომ საბერძნეთიდამ მოყვანილ დამაზ ქალთან ედემში გადაიტანა.

იგი უკვე მზად იყო სასახლისაკენ გასამგზავრებლად, სადაც მიელოდა ტიტველ მონა ქალების გუნდი და შემკული ტრაპეზი, მაგრამ ისევ სავარძელზე დაეშვა, რადგან მოახსენეს, რომ აღმოსავლეთიდან დაბრუნდნენ მის მიერ გამოგზავნილი მოგვნი. მოუთმენლად მოელოდა იროდი მათის სიტყვების გაგონებას.

მოგვნი მოწიწებით წარსდგნენ მბრძანებელის წინაშე.

— იშვა მესია და აღსრულდა სიტყვა წინასწარმეტყველისა!—მოახსენეს მათ.

— „ცული ძირთა თანა ხეთასა სძევს..."— მოისმა ამ დროს ორმოდამ იოანეს მგრგვინავი ხმაც.

გალილეის მბრძანებელი შეკრთა, გაფითრდა და აკანკალებული გადაესვენა სავარძელზე.

**ი. ცვლოშვილი.**

### საშობაო სიმღერა

რა მარგო, ნეტავ, შობამ,
ჩემთვის რა მოუტანია?..
ვინც იშვა, ცაში ბრძანდება
მას ჩვენთვის აღარ სცალია,
ქვეყნის გულისთვის ილვაწა,
სული ტანჯვაში დალია!
და დღეს კი იმის სწავლასა

ადარსადა სჩანს კვალია;
გვერდს უგმირავენ ლახვრითა,
მოსჩქეფს ძმარი და წყალია,
ვინ აასრულა მოძღვრება:
„მოყვასი შეიბრალია".
გარეგნულად ვსცემთ პატივსა,
ფორმისთვის უკრავს ზარია.
დღესაც ვერ შევიგნეთ მის მცნება,
გვესმის რამდენი ხანია!
საწყალი საწყლადვე რჩება,
ისევ სდის ცრემლის ღვარია.
მგლები, აფთრები მრავლდება,
ხარობს იმათი გვარია,
აზრი კი, აზრი მაღალი,
ჰგოდებს ბედ-განამწარია!

ვაჟა-ფშაველა.

# ბიბლიურ ჰანგზე

**შოლტი.**

იერუსალიმის ტაძარში ხმაურობა და ფაცა-ფუცი ადრიდანვე დაიწყო. ლევიტელნი და სხვა დაბალი მოსამსახურენი აქეთ-იქით დარბოდნენ და ტაძრის შიგნით თუ ეზოში საჭირო ნივთებს აწყობ-ალაგებდნენ. დიდ-დიდი შანდლები, სამსხვერპლო, საბანელი და სხვა სამღრთო ჭურჭლეულობა დაწმენდილ-დაფერილი ვარვარებდა.

დღეს დიდი დღესასწაული იყო ებრაელებისა. ხალხი ყოველ კუთხიდან ბლომად აწყდებოდა იერუსალიმს, მოჰქონდა შესაწირავი ფული, მოჰყავდა სამსხვერპლოდ დასაკლავი საქონელი. აურებელი ქალი და კაცი, დიდი და პატარა მიეშურებოდა ტაძრისაკენ სალოცავად, თითქო ღმერთი—შემოქმედი ცისა და ქვეყანისა მხოლოდ აქ, მხოლოდ ამ კედრონის ჟყროლებულ დღეს პირად მოისმენს მისდამი გულწრფელად მიმართულ ლოცვა-ვედრებასო.

მღვდლებიც ადრევე გაეშურნენ ტაძრისაკენ. დღეს ბევრი საქმე ედოთ წინ და კაი მოგების მოლოდინშიაც იყვნენ.

— კურთხეულ არს ღმერთი ისრაილისა, რომელმან მოსცა მადლი ესე მღვდელთა, მისთა,—გაისმა ტაძარში ახლად შემოსულ მღვდლის ილიას ხმა. იგი ძვირფას აბრეშუმის შესამოსელში იყო გახვეული, ხელში კვერთხი ეჭირა და თავზედ სამღვდელო აჭრელებული ქუდი ეხურა.

— ვითარცა ნელსაცხებელი გარდა მომავალი წვერთა ზედა, წვერთა ზედა აარონისთა!—გამოეხმაურა ახლად მოსულს მღვდელი რუბენი, რომელიც ადრევე მოსულიყო და ერთკუთხეში ჩამომჯდარიყო.

— რომელი გარდამოვალს სამხართა ზედა დიდებისა მისისასა,—შემოილაპარაკა მესამე მღვდელმა იუდამ, რომელიც ილიას ფეხ და ფეხ მონავალიყო.

სამივემ ჩვეულებისამებრ ერთმანეთი გადაკოცნეს და მოიკითხეს.

— მომილოცავს, მამანო, დღესასწაული!—სთქვა რუბენმა:—და სასუმელმან შენმან დამათროს მე ვითარცა ურწყულმან.

— ვითარცა ცრემლითა და სიპოხითა განძღეს სული ჩემი!—კვერი დაუკრა იუდამ.

— მოითმინეთ საღამომდე. ჯერ ძილი, მერე სიზმარი. ნუ იცით ხოლმე წინ და წინ ადტაცება,—წმინდანო მამანო,—შენიშნა ილიამ:—ჯერ დღევანდელი შემოსავალი დავთვალოთ და გავიყოთ და მერე მივულოცოთ ერთმანეთს დღესასწაული...

— შენ სულ მაგ შიშში ხარ!—გააწყვეტინა იუდამ.

— კარვობის დღესასწაულშიაც სულ კბილს კბილზე გაცემინებდა: აი, დავიღუპეთ, დღეს მგონი შემოსავალი ნაკლები იქნება და რომიდან ახალ ტანისამოსს ვერ დავიბარებო, მაგრამ, ხომ გახსოვს, რამდენი ასი დრაკანი ჩაიჩხრიალე ჯიბეში.

— გვყავდესცა მშვიდობით ჩვენი მღვდელთ-მთავარი ანნა, ჩვენ მან მიმშილით არ დაგვხოცოს და ტიტველა არ გვატაროს. გაიგეთ ახალი დადგენილება? შესაწირავ ცხოველების ტყავები და ბეჭები მღვდლებს საკუთრება გაუხდია,—სთქვა რუბენმა.

— კურთხეულ არს ღმერთი სიონით გამო, რომელი დამკვიდრებულ არს იერუსალიმს და ადლერგძელოს ჩვენი მღვდელ-მთავარი ანნა! სასოებით ხელების ზე-აპყრობით წარმოსთქვა ილიამ:

— ისიც გაიხსენეთ, ღირსნო რაბუნნო,—შენიშნა იუდამ—რა შფოთი და ალიაქოთი ავუტეხეთ, როცა იგი პირველად გადმოიყვანა იერუსალიმში უცხოეთიდან (ალექსანდრიიდან) იროდი მეფემ; როგორ აღვიძარით ყყელანი და ვიძახოდით: „არ გვინდა უცხო მღვდელ-მთავარი; აჭაური, ჩვენებური მოგვეცესო".

— რა ვუყოთ მერე, თუმცა მღვდლები კი ვართ, მდგომარენი წინაშე პირისა იეღოვა ღვთისა ისრაილისასა, მაგრამ გულთ-მისნები მაინც არა ვართ. მაშინ კი ასე იყო, მაგრამ ეხლა, სამაგიეროდ, ხომ ვხედავთ, რა ჩინებული კაცი გამოდგა, რა კარგად მიჰყავს საქმე. თავ-დაპირველად, რა თქმა უნდა, თითონაც ზორბად ჰხვეტავს, მაგრამ მღვდლებსაც არ ივიწყებს. სცდილობს მათ უზრუნველ-ყოფას. მტრედების ვაჭრობა როგორ ასწია! საერთოდ ტაძრის შემოსავალი წინანდელთან შედარებით ერთი ხუთად გაჰხადა... სხვა რა ჩვენი საქმეა.

— სჯული მოსესი, ღირსო რაბინო, სჯული?—მწარედ შენიშნა იუდამ, განმტკიცება სჯულისა ისრაილსა შორის? დაახლოვება ისრაილისა იეღოვასთან?..

მღვდელმა რუბენმა მოკრძალებით აქეთ-იქით მი-მოიხედა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო, და როცა დარწმუნდა, რომ სიახლოვეს არავინ იყო, მაინც ცოტა თავ-შეკავებულად მიუგო:

— შენც, საყვარელო რაბუნო, მაგ მიუწდომელ ოცნებებს თავს რომ არ ანებებ, თითქო პირად შენ ყოფილიყო იეღოვასთან და გუშინ წინ დაბრუნებულიყო იმისაგან.. შე დალოცვილო, რამდენიმე კაცი, აი თუ გინდ ჩვენ, პატიოსანნი მღვდელნი, ვერ დავახლოვებივართ რიგიანად ერთმანეთს, ხომ კარად იცი, ტყავებისა, ან ფულის გაყოფის დროს, რა უთანხმობა მოგვდის: ხშირად ერთმანეთის ნაკურთხ წვერებსაც ვსწვდებით ხოლმე და შენ გინდა, რომ იეღოვა, ვიღაც უხილავი ღმერთი და ისრაილი, იაკობიდან მოყოლებული მუდამ შფოთის მოყვარე ხალხი, ერთმანეთს დაუახლოვოთ! მაგეებს თავი დაანებე, ღირსო რაბუნო! ჩვენი საქმეა აღვასრულოთ მოსეს წესი. აი, იმის ჭკუით (სავსე შუბლს კი ვენაცვალე!) ისე, როგორც სწერია საღმრთო წერილში, შევსწიროთ მსხვერპლი, დავაკვრევინოთ წინწილ-ებანი, ვაყვიროთ საყვირი, ვატრიტინოთ კეთილ ხმოვანი ორღანო, ვისიამოვნოთ და ვასიამოვნოთ ისრაელი. ხალხს თავის-თავად მტკიცედ სწამს მსხვერპლი, გაიგე მსხვერპლი, ცხოვარი და ზროხა და მტრედი. თუ ცხოვარი დაჰკლა და იმისი ცხელი სამსხვერპლოში დაჰწვა, ჰგონია—იეღოვას დიდი სამსახური გაუწია და დიდად ასიამოვნა. შენც, აბა მითხარ, რას დაეძებ? ჰო, ასეა, დიახ, იეღოვამ მე პირად მიბრძანა თქო, რა ძვირად გიღირს. ბრიყვს ხალხს ბევრი კი არ უნდა. მართალი თუ უთხარი, ტყუილ-უბრალოდ გადიკიდებ, მტრად გაიხდი; ტყუილი თუ უთხარი, შენია და შენი იმისი ხორცი და კანი. აგერ მე ჯიბეში ჩემ ბადში მონაწყვეტი ხურმა მიძევს. ხალხს რომ გამოუცხადო, ეს ხურმა თვით იეღოვამ ანგელოზის ხელით ზეციდან გამომიგზავნა, როცა იმის ტაძარში კრძალვით სამეველს ვაკმევდი-მეთქი, მაშინვე პირქვე დაემხობა და ერთს უშველებელს ლოცვა-ვედრებას ასტეხავს... აი თუ გინდა ამ ჩვენი ქერუბიმ-სერაფიმით მოქარგულ კრეტსაბმელის იქით, ხომ იცით, ისეთივე სიცარიელეა, როგორც სინოდრიონის ზოგიერთ წევრის გოგრაში, მაგრამ ბრიყვი ხალხი მაინც დარწმუნებულია, რომ მოსეს მიერ მოცემული სჯულის კიდობანი ახლაც იქა ძევს, მიდი და გადაარწმუნე!..

— წმიდანო რაბუნნო—შემოილაპარაკა ლევიტელმა:—აჰა ესერა ძენი და ასულნი ისრაილისანი მოსულ არიან გალილიით და იორდანით კერძო, ტვიროსით და სიდონით, ზვარაკები ჰამებული თან მოუყვანიათ, ეზოთ გარე ტაძრისა დგანან და ძოელიან კურთხევასა თქვენგან და შეწირვად ღვთისა მიმართ.

რაბინი რუბენი ერთ წუთს შეჰკრთა, მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, ხელები ზეცას აღაპყრო, თვალები გადმოატრიალა და სასოებით შესძახა:

— შესწირვიდეთ უფალსა შვილნი ვერძთანი!..

— შესწირვიდეთ უფალსა შვილთა ვერძთასა!—ბანი მისცა ილიამ.

— რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი!—დაუმატა იუდამ.

მღვდლები შეიმოსნენ. დამკვრელთა და მგალობელთა გუნდმა თავიანთი ადგილი დაიჭირა. სამსხვერპლო პირუტყვები თავისს ადგილას დაამწკრიეს. ჩამოჰკრეს წინწილ ებანს. „აქებდით, აქებდით, აქებდით უფალსა,—გალობდა გუნდი—რომელმან განიყვანა ერი თვისი ზღვასა მას მეწამულსა... შთაანთქა ფარაო და მხედრობა მისი...

აპრიალდა სამსხვერპლოზე ალი. მღვდელ-ლევიტელნი დაფაცურდნენ. მსხვერპლი მსხვერპლზე მოდიოდა. ლევიტელნი გატყავებას ვერ ასწრობდნენ. სოლომონის სტოვაში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ, მტრედთა და ხბოთა გამყიდველნი საქმეს ვერ ასდიოდნენ. ზარაფები ფულის დახურდავებას ვერ ასწრობდნენ. თიკანთა კიკინი, მტრედთა ღუღუნი, ხბოთა ბღავილი, ფულის ჩხრიალი, მყიდველ გამყიდველთა ხმაურობა, სამსხვერპლოზე მოპრიალე ცმელის ტკაცა ტკუცი, საკრავთ ხმა და გუნდთა გალობა საერთო გუგუნით ეფინებოდა არემარეს.

— ჩინებული ხბოა, ათ დრაკნისათვის საქმეს ნუ ჩაშლი, იყიდე და შესწირე უფალს!—რჩევას აძლევდა ერთ ადგილას ხბოს გამყიდველი შორის სოფლიდან მოსულ, ჯაფისა და მზისაგან პირისკან გათუთქულ გლეხს.

— მტრედები, მტრედები! — იწვევდა ხალხს მემტრედე.—იეღოვასა ღმერთსა ისრაილისასა ისე არაფერი არ უყვარს, როგორც მსხვერპლად შეწირული მტრედი. აბა, თუ ასე არ არის, ჰკითხეთ წმიდა მღვდელ-მთავარსა ჩვენსა.

უცბად ტაძრის ეზოს სპილენძის დიდი ალაყაფის კარებისაკენ რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა.

— არა, გაგვიშვით, შეუძლებელია!—ყვიროდა ვიღაცა.

— გაგვიშვით, დროა ბოლო მოეღოს ამდენ საძაგლობას!

— შენ ვითომ რა დიდ-კაცადა...

— რისთვის?!..

— მღვდელ-მთავარიც ისეთი მსუნაგია, რომ...

— ღმერთიმც გასწყრომია!..

ისმოდა ასეთი გამოურკვეველი ხმები და კიჟინა მჭიდროდ მოგროვილ ხალხში, რომელიც თან და თან სოლომონი სტოვასაკენ მოემართებოდა.

ასმდე ჯოხით შეიარაღებულ რჩეულ ვაჟკაცს წინ მიუძღოდა ლამაზ ლამაზი, მოკლე და მოწითალო წვერიანი ვაჟკაცი და ხელში ვეებერთელა თოკისაგან გაკეთებული შოლტი ეჭირა. ცხადი იყო, რომ ის ასიოდე კაცი იმ შოლტიან ვაჟკაცს მხარს უჭერდა.

შოლტიანი მიუხლოვდა მღვ. ილიას, რომელიც ტაძრის ეზოს შუა აღმართულ სამსხვერპლოსთან ახლად გატყავებულ ხბოს გარს მოსდგომოდა და რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა.

— ვითომ ლოცულობ განა! მაგ თვალთმაქცობით იბრიყვებ ამ დაბეჩავებულ ხალხს—დაიძახა შოლტიანმა და მღვდლის თავზე ჰაერში შოლტი გაატყლაშუნა.

ახლო ერთი ლევიტი ცხვარს ატყავებდა. მან ცხვარი იქ მიაგდო და მოდერებულის დანით გაიქანა, მაგრამ მარჯვედ მოქნეული ჯოხი მოჰხვდა მაჯაზედ და დანა დააგდებინა. ვიღამაც მაგრა ჰკრა მუჯლუგუნი, წაიჩოთირა და თვისს მიერ ნახევრად გატყავებულ ცხვრის გვერდით ქვაფენილზე გაშხლართა.

მიწყნარდა წინწილ-ებანი. ბავშვები და ქალები დაფრთხნენ. შოლტიანის გარშემო კი თანამგრძნობთა რიცხვი თან და თან მატულობდა. ალიაქოთის შიშით ზარაფებმა დასტა-დასტად დალაგებულ ფულს საჩქაროდ ვეებერთელა ქისებში დაუწყეს ყრა.

— გეყოფათ ჩაგდენი ისედაც გაძვალტყავებულ და რომაელების ბრჭყალებ ქვეშ დაწნახულ ხალხის თვალის ახვევა და უკანასკნელი სისხლის გამოწოვა. — ხმა მაღლა იძახდა შოლტიანი და სოლომონის სტოვას უახლოვდებოდა: — ეს რა არის? განა ტაძარი ღვთისა ზარაფხანაა?—დაუყვირა ერთ გრძელ წვერა და ცხვირ მოკაუჭებულ ზარაფს, რომელიც გამალებული ქისაში ფულს აჩხრიალებდა, მაგრამ სულ ჩალაგება ვერ მოესწრო და ჯერ კიდევ მაგიდაზე ფული ბლომად ელაგა. ჰკრა შოლტიანმა ხელი მაგიდას, წააქცია და რომის კეისრის გამოხატულებიანი დრაკან-ქანქარი სრულიად ქვის იატაკზე მოეფინა.

— ღმერთო მომკალი: ვაააიმე, ფული დაიბნა, დავიღუპე!—ვინ იხერი და თავმოძულებულია ეს კაცი.—ერთის ზარაფის ყვირილს მეორის და მესამისაც მიემატა.

— ამას რას ვხედავ!—კვლავ გაისმა შოლტიანის მტკიცე ხმა.—განა ტაძარი ღვთისა ბაზარია? მტრედები და ხბორები აქ მოგიყვანიათ, ამით გინდა დაიბრიყვოთ უბედური ისრაელი!—კვლავ გაისმა ჰაერში შოლტის ხმა:—თქვენ დაარღვიეთ სჯული მამა პაპათია: თქვენ ღორმუცელობას ანაცვალეთ მოსე და წინასწარმეტყველები!—ქუხდა შოლტიანი.

— მართალია, მართალია!—გუგუნებდა შოლტიანის სითამამით წაქეზებული ხალხი.—მართალია, მათმა, ამ ტაძრის ბატონ პატრონთა, ყოველ წრეს გადასულმა მსუნაგობამ მიწასთან გაასწორა ძე ისრაილისა...

როცა ნახეს აღელვებული და სამტროდ გამზადებული ხალხი, მღვდელ ლევიტელნი საჩქაროდ აქეთ-იქით ტაძრის კუნჭულში მიიმალნენ.

— შენ ვინა ხარ, კაცო? შენ ვინ მოგცა უფლება ასე იქცეოდე?—ჰყვიროდნენ თავის მხრივ ზარაფ-ვაჭარნი—ეს რა ღვთის რისხვა მოგვევლინა! ეს ვინ ეშმაკის შემოჩენილია!

— დაანგრიეთ ტაძარი ესე და მე მესამესა დღესა აღვადგინო იგი.—მიუგო შოლტიანმა და ტაძრიდან ერეკებოდა ვაჭრებს. შოლტსაც სთავაზობდა.

— ისედამც ამდგარა შენი ზურგი ხვალ დილით სარეცელისაგან, შენ ეს სამ დღეს ააგო—ჰყვიროდნენ ზარაფები,—ორმოცი წელიწადი გვიშენებია, მთელი ხალხი მაგის აშენებამ გაალარიბა და შენ სამ დღეს გინდა ააშენო!..

— უბედურნო, თქვენი ახალი აშენებული რაღა უნდა იყოს, როცა ძველის დაქცევის უნარი არ შეგწევთ. აქაც მე მოგეშველებით: მევე დავაქცევ, მევე ავაშენებ.

კვლავ ასტყდა რაღაც ახალი ჩოჩქოლი ალაყაფის კარებთან. რომაელების მხედრობის ასის თავი ამაყად იჯდა ცხენზედ, გრძელი შუბი ხელში ეჭირა და ტაძრის ეზოში შემოდიოდა, უკან შუბებითვე შეიარაღებული ჯარის-კაცები მოჰსდევდნენ. წინ მიუძღოდა თავ-გადაგლეჯილი რაბუნი რუბენი.

— აბა, თქვენი განათლებული თვალითაც ნახეთ, ღირსეულო რომის მხედარო!—ქშინით ამბობდა რუბენი:—დიდებულის კეისრის ერთგულო ქვეშევრდომო! ეს არა თუ ჩვენი წმინდა რჯულის შეურაცხყოფაა, თვით დიდებულ კეისრის აბუჩად აგდებაა. შემოგვივარდა, ბატონო, გადარეული კაცი. აი აქ, ბატონო, პატიოსანნი მღვდელ-ლევიტელნი ღმერთს მსხვერპლსა სწირავდენ, რა თქმა უნდა, კეისარს, იმის სახლობას და და მთლად რომის ძლევა-მოსილ მხედრობასაც გულწრფელად უფალს ავედრებდნენ.. შოლტით ყველას თავ-პირი დაამტვრია.. პატიოსან ვაჭარ-ზარაფებს—აქ ვაჭრობა, ბატონო, თვით წმინდა მღვდელმთავრის მიერ დაკანონებულია—ფული სულ გაუბნია და მათაც უწყალოდ სცემა.

— აი ბატონო,—დაიძახა ერთმა ცეცხლივით წითელ-წვერა კაცმა, რომელსაც ხბოსთვის ყურში დაევლო ხელი და ეზიდებოდა,—ძლივს ვიპოვე, ხბორები სულ-გაიფანტა...

— კეისრის საბრძანებელში ასეთ უკანონობას, ბატონო, ადგილი არ უნდა ჰქონდეს!—სთქვა მღვდელმა ილიამ, რომელიც სხვა მღვდელ-ლევიტელებთან ერთად რომაელების იმედით საფარიდან გამოსულიყო.

— მე ვუჩვენებ, მე მას ვუჩვენებ, ღირსეულნო რაბუნნო! — ანუგეშა ასის თავმა, ფეხებით უზანგოები დააჟღრიალა და ხელით შუბი დააზანზარა.—ვინ იყო ის წესრიგის დამრღვევი, მომგვარეთ აქა.

მღვდელ-ლევიტელნი და ვაჭარ-ზარაფნი დაფაცურდნენ.

— მოგახსენებთ, ბატონო! — სულის ძლივს მობრუნებით ამბობდა მღვდელი რუბენი.—მე ვიცნობ: ის იიშუ ნაზარეველია, დურგლის იოსების შვილი.

— ბიიშუ?

— არა, ბატონო იიშუ, იიშუ ნაზარეველი. მაწანწალა რაბუნია. პატიოსან დურგლობას თავი დაანება, თავისთანა არამზადა ხალხი აიყოლია და დაბა სოფლებს მოედო რაღაც ახალის, ღვთისა და კეისრის წინააღმდეგი ქადაგებით, წმიდ მოსეს წვერებს ვფიცავ, ბატონო, ხალხს ალელვებს: ღმერთი არა სწამს, არც ტაძარი წმინდა. მსხვერპლი საჭირო არ არისო, ამბობს, ბატონო. მოსემ კი პირდაპირ დააკანონა, ცხვარი და ძროხა და მტრედები შესწირეთო. კეისარს ხარკი არ აძლიოთო, ის ხალხის მყვლეფელიაო, ამბობს. ჯარის კაცები და რომიანობაც არა სწამს, ერთის სიტყვით აწინდელ დიდებულ, რომის სკიპტრის ქვეშ ჩინებულად მმოძრავ წესწყობილების დაუძინებელი მტერია...

— იცით ნამდვილად, რომ ის იყო?

— ნამდვილად, ბატონო, აი პატიოსანი მოწმენი, რამდენიც გნებავთ.

— იიშუ იყო, ბატონო, იიშუ. შოლტი იმას ეჭირა,—სთქვა ერთმა კაცმა.

— ის იიშუ ხომ არ იყო, რომელზედაც ამბობენ უდაბნოში ხალხი გაძღოო? —დაიძახა ვიღამაც.

— არა, ბატონო, მოთმინებიდან გამოსული კილოთი მოუსწრო მღვდელმა რუბენმა.—სულ მოჭორილია. არავინაც არ გაუძღია. სხვისი გაძღომა კი არა, თითონაც ნახევრად მშიერი დაეხეტება. ხალხის გაძღომა და ქველმოქმედება აქ ჩვენთან უნდა იკითხო, ბატონო, ღვთივ კურთხეულ ტაძართან. აი ამოდენა უამრავ მსხვერპლის წელებს და ფეხებს სულ საწყალ ხალხს ვურიგებთ მუქთად. ეს ალბად, ღირსეულო მხედარო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რადგან წყლის პირად წელების გარეცხვისთვის ცოტაოდენი ბაჟიცაა დადებული და იქ მუდამ ჯარის კაცია მიჩენილი წეს-რიგის დასაცველად.

— მე იმას ვუჩვენებ, მე ვუჩვენებ, როგორ უნდა წეს-რიგის დარღვევა!—მტკიცედ ამბობდა ასის-თავი.

— ჩაგვიშალა, ბატონო, ჩინებული დღესასწაული. ამდენ ლოცვა-ვედრების მადლი გააქარწყლა.

— აბა სად გაიპარა ის არამზადა! მოიჭრა აოფლიანებული და გაცეცხლებული მღვდელი ილია.

— ვერა ნახეთ?—ჩუმად დაეკითხა რუბენი.

— მთელი ეს ვეებერთელა ხალხით გაჭედილი ეზო შემოვიარეთ, ვის არა ვკითხეთ, კანონსაც გადავაცილეთ, შუბიანი, ურწმუნო ჯარის კაცი სტოვაშიაც ავიყვანე, ყველა კუნჭული მივქექ-მოვქექეთ, მაგრამ სულ ამაოდ.

— სად არის რაბუნი იუდა?—წყენით სთქვა მღ. რუბენმა.—შე კაცო, აკი გითხარი ჯაშუში მიუჩინე, არსად არ გაგვექცეს მეთქი.

— შენ მამაო, ისიც მითხარი, ლოცვას თავი არ დაანებო, ხელები მაღლა აღაპყრე და ხალხს მხურვალე მლოცველად თავი მოაჩვენეო, მაგრამ როცა გამწვავდა საქმე, ჯაშუში კი არა, თავი ცოცხალი ძლივს დავახწიე.

— მომგვარეთ აქა, მე უჩვენებ იმას!—რიხიანად ამბობდა ასის თავი და შუბს აზანზარებდა.

იიშუ კი არსად იყო. უბირალო.

## მესხია

სიდარიბეში, შიმშილ-შრომაში,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში ის დაიბადა,
მამათა ჰყავნდა უბრალო მუშა,
თვითონაც მუშად გამოიზარდა!

სცემდა ჩაქუჩსა .. სიმართლის ჩაქუჩს,
ხალხისა გულში ცეცხლს აღვიგბდა,
არ ეშინოდა მძლავრთ ამა ქვეყნის,
უსამართლობას მათ ამხილებდა!

და ჰპოვა ჯვარი... ჯვარი წამების,
მაგრამ მის სისხლი დღესაც ღაღადებს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
დიდი გოლგოთა დღესაც ქადაგებს!

იგივ შიმშილი, იგივე ტანჯვა,
კვლავ უალერსებს თვის საყვარელს შვილს,
და განთიადსა—იმ მადლიანსა
ბრძოლის ქარცეცხლში ხალხი მოელის!

ი. ევდოშვილი.

## ანგელოზ

ლ. ანდრეევისა.

(შემდეგი*)

ბავშვები ღელავდნენ, ხმაურობდნენ და შობის ხის ნაჯავს მოუთმენლად ელოდნენ. თოფით გაკეთებულმა მაგალითმა, იმ ბავშვის მოგონილმა, რომელიც ხნითა და ცუდის სახელით სხვებში თავისადმი

*) იხ. „ისარი" № 284.

პატივის ცემას იმსახურებდა, მიმზიდავები იშოვნა და რგვალი, რამდენიმე ცხვირი უკვე დაწითლდა. გოგოები იცინოდნენ და გვერდზე იწევდნენ, მაშინ, როდესაც მათი გმირები ტკივილისა და შიშისაგმი ზიზღით პრობკის მოხვედრის მოლოდინში მაინც იღრიჯებოდნენ. მაგრამ, აი, გაიღო კარი და ვილაცამ დაიძახა:

— ბავშვებო, მოდით! ნელა, ნელა.

ბავშვებმა თვალები წინ-და-წინვე დააქყიტეს, სუნთქვა შეიკრეს, წყვილად დალაგებულნი ძალზე განათებულს ოთახში შევიდნენ და პრიალა ხეს წყნარად გარს უვლიდნენ. განცვიფრებული სიჩუმე, რომელიც ერთბაშად აღფრთოვანებულ მხიარულებად იქცა, ცოტას ხანს მეფობდა. ერთმა პატარა გოგომ სიხარულით ატაცებულმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ჩუმის ჟიუტობით ერთს ადგილს ხტუნვა დაიწყო. ცის-ფერ ლენტ ჩაწნული პატარა ნაწნავი მხრებზე უხტოდა. საშკა დაღონებული იყო. რაღაცა ცუდი რამ ხდებოდა იმის პატარა და დაავადებულს გულში. ხემ, თავის ურიცხვ სანთლების შეურყეველ შუქით, საშკას თვალთ დაუბნელა. ხეც უცხო იყო იმ ურიცხვ, სუფთა და ლამაზ ბავშვებსავით, რომელნიც საშკას გარს ეხვივნენ. საშკას უნდოდა ხისთვის ფეხი ეკრა, რომ იგი ნათელ თავებს დასცემოდა. თავს ისე ჰგრძნობდა, ვითომ იმისი გული ვილაცის რკინის ხელებს უჭირავს და ისე მძლავრად უჭერს, თითქოს სისხლის უკანასკნელ წვეთის გამოწურვა სურსო. საშკა როიალის უკან კუთხეში იჯდა, ჯიბეში მთელ პაპიროზებს გაუგებრად ამტვრევდა და ჰფიქრობდა, რომ ჰყავს მამა, დედა, აქვს თავისი სახლი და ისე კი გამოდის, თითქოს არაფერი არ აბადია და არც იცის—სად წავიდეს. იგი სცდილობდა, წარმოედგინა თავის კალმის დანა. ის დანა, რომელიც დიდი ხანია რაღაცაში გასცვალა და რომელიც ძალიან უყვარდა. მაგრამ ეს დანა ეხლა ძალიან ცუდი გახდა. პირი მთლად დაელია და თეთრი ძვალი ტარზე ნახევრად-ღა დარჩა. ხვალ ამ დანასაც გასტეხავს და აღარაფერი დარჩება.

მაგრამ საშკას ვიწრო თვალებმა ერთბაშად გაიელვეს და იმისმა სახემ თავისი თავის იმედი გამოჰხატა. ხის მისკენ მიმართულს მხარეზე, რომელიც ყველაზე ნაკლებ იყო განათებული, საშკამ ის დაინახა, რაც იმის ცხოვრების სურათს აკლდა, ურომლისოდაც ირგვლივ ისეთი სიცარიელე იყო, თითქოს ის ხალხი, რომელიც გარს ეხვია, მკვდარიაო. ეს სანთლის ანგელოზი იყო. იგი ხშირს მწვანეში იყო დაკიდებული და საამურად ჰკრთოდა. მისი ჭრიჭინას ფრთები შუქისგან ციმციმებდნენ და ანგელოზი მთლად ცოცხალსა ჰგავდა, თითქოს გასაფრენად ემზადებაო. კოხტად გამოყვანილ თითებით, ვარდის-ფერი ხელები ზევით ჰქონდა აწეული; ხელებს თავი მისდევდა ისეთისავე თმებით შემოსილი, როგორიც კოლასა ჰქონდა; მაგრამ მასში სხვა რაღაცა იყო, ის, რასაც კოლას და სხვათა სახეები და საგნები მოკლებულნი იყვნენ. ანგელოზის სახე არც სიხარულით ბრწყინავდა და არც მწუხარებით იფინებოდა; მასზე სხვა გრძნობის ბეჭედი იჯდა, იმ გრძნობისა, რომლის არც სიტყვებით გამოთქმა და არც აზრით გამორკვევა არ შეიძლება და რომელიც მხოლოდ იმგვარისავე გრძნობისათვის არის მისაწვდომი. საშკა იმ იდუმალს ძალას, რომელიც მას ანგელოზისაკენ იწევდა, ვერა ჰგრძნობდა, მაგრამ ესმოდა კი, რომ მუდამ იცნობდა, მუდამ უყვარდა, უყვარდა უფრო ძალიან, ვიდრე კალმის დანა, ვიდრე მამა და უფრო ძალიან, ვიდრე დანარჩენი ყველაფერი. ძრწოლით და გაუგებარის აღფრთოვანებით სავსე საშკამ ხელები გულზე დაილაგა და ჩურჩულებდა:

— კარგი... კარგი... ანგელოზი!

რაც უფრო მეტის ყურადღებით უცქეროდა იგი, ანგელოზის გამომეტყველობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საჭირო ხდებოდა. იგი დაუსრულებლად შორი იყო და არა ჰგავდა ყველა იმას, რაც საშას გარს ეხვია. სხვა სათამაშოები თითქოს ამაყობდნენ იმით, რომ ისინი უფრო მორთულები, უფრო ლამაზები ეკიდნენ ამ ბჟყვრიალა ხეზე, ანგელოზი-კი დაღონებული იყო, ეშინოდა გამაბეზრებელის, ძლიერის შუქისა და თითქოს განგებ დამალულა ამ მუქ-მწვანეში, რომ არავის არ დაენახა. მის ფრთებზე ხელის ხლება უგონო გულ-ქვაობა იქნებოდა.

— კარგი! კარგი!—ჩურჩულებდა საშა.

თავი უხურდა. ხელები უკან დაიწყო და ანგელოზის დასაცავად, სასიკვდილო ბრძოლისათვის გამზადებული, ფრთხილის ნაბიჯით დადიოდა. რომ ანგელოზს სხვების ყურადღება არ მიექცია, საშა არ უცქეროდა, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ ის ჯერ აქ არის, არ გაფრენილა. კარებში დიასახლისი გამოჩნდა—ამაყი, მაღალი, თმებ მაღლა გადავარცხნილი ქალი, რომელსაც ნათელი შუქი ედგა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ; პატარა გოგო, ის, რომელიც ჰხტოდა, ხელზე ჩამოეკიდა და ნამძინარევს თვალებს ახამხამებდა. საშკაც მივიდა. მას ყელი გამოეხრანწა.

— ძალო! ძალო!—სთქვა მან, თან სცდილობდა, ალერსით ელაპარაკნა, მაგრამ უფრო უკმეხად გამოსდიოდა, ვიდრე სხვა დროს.—ძა... ძალუა!

ძალოს არ ესმოდა და საშკამ კაბის კალთას მოუთმენლად დასწია.

— რა გინდა? კაბას რად მიწევ?—გაიკვირვა ქალმა.—უზრდელობაა.

— ძა... ძალო! ხიდან ერთი რამ მომე—ანგელოზი!

— არ შეიძლება,—ცივად უპასუხა დიასახლისმა.—შობის ხეს საახალწლოდ გავკრეფთ. შენ პატარა აღარა ხარ და შეგიძლიან სახელი დამიძახო: მარია დმიტრიევნა.

საშკა ჰგრძნობდა, რომ უფსკრულში ინთქებოდა და ამიტომ უკანასკნელს საშუალებას მიჰმართა:

— მე ეხლა ვნანობ... ვისწავლი.—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა საშკა, მაგრამ ეს ფორმულა, რომელიც მასწავლებლებზე კეთილად მოქმედებდა, ჭაღარა ქალზე არავითარს შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

— კარგადაც იქ, ჩემო მეგობარო!—ისევ გულ-ცივად უპასუხა მან.

— მომეცი ანგელოზი!—უკმეხად უთხრა საშკამ.

— არ შეიძლება!—ამბობდა დიასახლისი:—როგორ არ გესმის?

მაგრამ საშკას არ ესმოდა და როცა დიასახლისი კარებისაკენ გაბრუნდა, საშკაც უკან მიჰყვა და შავს, შრიალა კაბას შესცქეროდა. საშკას მხურვალედ მომუშავე თავში ერთმა მოგონებამ გაიელვა. მოაგონდა, რომ ერთმა გიმნაზიელმა, იმის კლასის მოწაფემ, რომელიც მასწავლებელს სამის დასმას ეხვეწებოდა, მაგრამ უარი მიიღო, დაიჩოქა, ხელები ისე გადააჭდო, როგორც ლოცვის დროს, და ატირდა. მასწავლებელი გაჯავრდა, მაგრამ სამი მაინც დაუსვა. თავის დროს საშკამ ეს სურათი კარიკატურით დაასამუდამოვა. მაგრამ ეხლა სხვა გზა არა ჰქონდა. საშკამ ძალოს კაბა დაუწია და როცა მან მოიხედა, მუხლის თავებზე ბრახუნით დაეცა და ხელები ზემოდ გიმნაზიელსავით აღაპყრო, მაგრამ ტირილი ვერ მოახერხა.

— ჰკუაზე ხომ არ შესცდი?—შეჰყვირა ჭაღარა ქალმა და მიიხედ-მოიხედა. ბედზე, კაბინეტში არავინ იყო.—რა მოგდის?

დაჩოქილმა, ხელებ გადაჭდობილმა საშკამ ზიზღით შეჰხედა და მკვახედ მოსთხოვა:

— მომეცი ანგელოზი!

საშას თვალები, რომელიც დიასახლისის ტუჩებს შესცქეროდნენ, ძალიან ცუდი იყო, ამიტომ დიასახლისი პასუხის მიცემას აჩქარებდა:

— კარგი, მოგცემ, მოგცემ! უჰ, რა სულელი ხარ! რასაკვირველია, რასაცა მთხოვ, მოგცემ, მაგრამ რატომ არ გინდა ახალს-წლამდის მოიცადო? ადექი, კარგი! არასოდეს, არავის წინ არ დაიჩოქო,—დარიგებით დაუმატა დიასახლისმა:—ეგ კაცს ამცირებს; დაჩოქება მხოლოდ ღმერთის წინაშე შეიძლება.

„იცოდე“, ფიქრობდა საშკა, თან სცდილობდა დიასახლისისათვის გაესწრო და კაბაზე ფეხს ადგამდა.

როდესაც დიასახლისმა სათამაშო ჩამოხსნა, საშკა ანგელოზს ჩააკვირდა, ცხვირი მტკივნეულად ასწია და ისე ეგონა, რომ ქალი ანგელოზს გასტეხდა.

— ლამაზი ნივთია!—სთქვა დიასახლისმა, რომელსაც ლამაზი და ძველი ძვირფასი სათამაშო ენანებოდა.—აქ ვინ დაჰკიდა? აბა, შენ ეს რად გინდა?! შენ ეგეთი დიდი ხარ, ამას რას უზამ? აი იქ სურათებიანი წიგნებია, ეს კი კოლას დავპირდი!—იცრუა დიასახლისმა.

საშკას ქეჯნა აუტანელი ხდებოდა. მან კბილებს მოუჭირა და თითქმის დააკრაჭუნა კიდეც. ჭაღარა შერთულს ქალს ყველაზე ძალიან სკანდალისა ეშინოდა და ამიტომ ანგელოზი საშას ნელა გაუწოდა.

— აჰა, დაიჭი, აჰა!—უკმეხად სთქვა მან.—რანაირი ჯიუტია.

საშკას ორივე ხელი, რომლებითაც ანგელოზი ეჭირა, ისე იყო დაჭიმული, როგორც ფოლადის პრუჟინა, მაგრამ ისეთი რბილი და ფრთხილი, რომ ანგელოზს თავისი თავი მფრინავად შეეძლო წარმოედგინა.

— ა—ახ!—გაგრძელებული და მთრთოლვარე კვნესა აღმოხდა საშას გულიდან. თვალებზე ორმა ცრემლმა გაიპრიალა და შუქს უჩვეული, იქვე გაჩერდა. საშა ანგელოზს გულში ნელა იკრავდა, დიასახლისს თვალს არ აშორებდა, წყნარის, კეთილის ღიმილით იღიმებოდა და თან არა მიწიურის სიხარულით ჰფეთქავდა. ანგელოზის ფრთები საშას გულს რომ მოჰხვდებოდა, თითქოს ისეთი ნათელი და სასიხარულო რამ მოხდებოდა, რანაირიც მოწყენილს, ცოდვილს დატანჯულს ქვეყანაზე ჯერ არ მომხდარა.

— ა—ახ!—ისეთივე მფეთქავი ხმა გაისმა, როდესაც ანგელოზის ფრთები საშას მოჰხვდა. ანგელოზის სახის ბრწყინვალების წინ სულელურად განათებულ ხის წინ თითქოს ჩაქრა, მიდიდურმა ქალმა სიხარულით გაიღიმა, მელოტმა ბატონმა გამხმარი სახე შეათამაშა და ბავშვები, რომელთაც ადამიანის ბედნიერების ქროლვა მოჰხვედრიათ, ცოცხალ დუმილში გაინაბნენ. ამ მოკლე წუთს ყველამ შეამჩნია ის მსგავსება, რომელიც თავის ტანისამოსიდან ამოსულს, მოუყუშავს გიმნაზიელისა და უცნობ მხატვრის ხელით გასულდგმულებულს ანგელოზს შორის იყო.

შემდეგს წუთში სურათი ერთბაშად გამოიცვალა. საშკა სახტომად გამზადებულ ვეფხვსავით მოიკუნტა და თავის მუქ თვალებით თითქოს ეძებდა იმას, ვინც მას ანგელოზის წართმევას დაუპირებდა.

— შინ წავალ,—ყრუდ სთქვა საშკამ და ბრბოში გზა დაათვალიერა:—მამასთან.

დღის მუშაობით და არყით დაღუპეტებულს დედას ეძინა. პატარა ოთახში ფარდის უკან სამზარეულოს ანთებული ლამფა მაგიდაზე იდგა. მისი სუსტი, მოყვითალო შუქი გაბოლილის შუშიდან ძლივს-ძლიობით ანათებდა და საშკას და იმის მამის სახეს საკვირველს ჩრდილს აყენებდა.

— კარგია?—ჩურჩულით ჰკითხა საშკამ. მას ანგელოზი მოშორებით ეჭირა და მამას ხელის ხლების ნებას არ აძლევდა.

— ჰო! მაგაში რაღაც განსაკუთრებული არის.—ჩურჩულებდა მამა და სათამაშოს დაფიქრებული ჩასცქეროდა. მისი სახე იმისთანავე დაკვირვებას ჰხატავდა, როგორსაც საშკასი.—უყურე,—განაგრძო მამამ,—ეგ ეხლავე გაფრინდება.

— ვნახე!—სიხარულით წამოიძახა საშკამ:

— ბრმა ხომ არა გგონივარ? შენ ფრთებს შეხედე! ჰა, ხელს ნუ ახლებს!

მამამ ხელი უკან წაიღო და მუქის თვალებით ანგელოზის წვრილმანის შესწავლას სცდილობდა. საშკა კი დარიგებით ბუტბუტებდა:

— ეგ რა ცუდი ჩვეულება გჭირს,—ყველაფერს უნდა ხელი ახლო? ხომ შეიძლება რომ გატყდეს?

კედელზე ორი თავის, ერთი დიდის და გაბურძგნულის, მეორე კი პატარის და რგვალის, მახინჯი და უძრავი ჩრდილები გამოიხატა. დიდს თავში საკვირვლად მტანჯველი და ამავე დროს სასიხარულო მუშაობა იყო. მისი თვალები ანგელოზს დაუხამხამებლივ ჩასცქეროდნენ და ამ გაშტერებულ ცქერის მეოხებით იგი უფრო დიდი, უფრო ნათელი ხდებოდა და ფრთები უხმოდ თრთოდნენ. ირგლივ კი ყველაფერი: გაბოლილ მორების კედელი, ჭუჭყიანი მაგიდა, საშკა, ყველაფერი ეს ერთს ნაცრის ფერ უჩრდილო, უშუქო, მასსად იქცა და დაღუპულს კაცს ასე ეჩვენებოდა, რომ იგი შენანებულს ხმას ისმენს იმ უცხო ქვეყნიდან, სადაც იგი ოდესღაც სცხოვრობდა და საიდანაც ეხლა სამუდამოდ განდევნილი იყო. იქ არ იციან არც ჭუჭყი, არც დაღვრემილი ლანძღვა-გინება, არც ეგოიზმთა დარდიანი, ბრმად გულქვა ბრძოლა; იქ არ იცნობენ ადამიანის იმ ტანჯვას, რომელსაც ის მაშინ ჰგრძნობს, როდესაც ქუჩაში წაქცეულს აყენებენ და ყარაულების უგვანო მუშტების ცემას განიცდის. იქ სიწმინდეა, სიხარული და სინათლე და ყველა ამ წმიდამ თავ-შესაფარი იმის სულში ჰპოვა, ვინც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, მაგრამ დაჰკარგა და მხოლოდ არა საჭირო სიცოცხლე-ღა შერჩა. ფიჭის სუნს, რომელიც ანგელოზს ასდიოდა, რაღაცნაირი გაურკვეველი სურნელობა ჰქონდა და დაღუპული ადამიანი ჰგრძნობდა, თუ ამ ანგელოზს მიეკარნენ, როგორც მიეკარნენ მისი ძვირფასი თითები, რომლების სათითაოდ დაკოცნა იმდენს ხანს ჰგრძნობდა, ვიდრე სიკვდილი ტუჩებს სამუდამოდ არ მოუკუმავდა ამიტომაც იყო ეს სათამაშო ასეთი ლამაზი, ამიტომ იყო მასში რაღაცა განსაკუთრებული, რომელიც თავისკენ იზიდავდა, რომლის სიტყვებით გამოთქმა არ შეიძლება. ანგელოზი ზეციდან ჩამოეშვა და შუქი შეიტანა ნესტიანს, კომლით გაჟღენთილს ოთახში და იმ ადამიანის სულში, რომელსაც ყველაფერი წაართვეს—სიყვარულიც, ბედნიერებაც, სიცოცხლეც.

და სიცოცხლე მოკმულ კაცის თვალების გვერდით ანათებდა იმ კაცის თვალები, რომელიც ცხოვრებას ეს არის ეხლა იწყობდა, და ეს თვალები ანგელოზს ეალერსებოდა. წარსულიცა და აწმყოც, მუდამ დაღვრემილი, საცოდავი მამაც, უკმეხი დედაც ამ თვალებისათვის გაჰქრა. გაჰქრა შავი გუნდი წყენათა, დამცირებათა და გაბრაზებულ დარდისა. უყალიბო და მუქი იყო საშკას ფიქრები, მაგრამ იმის შერყეულს სულს, მთელს სიკეთეს, რომელიც ქვეყანას დანათის, ღმერთისადმი დაღონებულ სულის სასოებას, მთელ ღრმა დარდს იკრეფდა ანგელოზი და ამიტომ ბრჭყვინავდა იგი ასეთის რბილის, ღვთაებრივის შუქით, ამიტომ ჰკრთოდა მისი ფრთები უხმო კანკალით.

მამა-შვილი ერთმანეთს ვერა ჰხედავდა; სხვა-და-სხვანაირად ღონდებოდნენ, სტიროდნენ და მხიარულებდნენ მათი ავადმყოფი გულები. მაგრამ მათს გრძნობებში ისეთი რამ იყო, რაც ამ გულებს აერთებდა და სპობდა იმ უფსკრულს, რომელიც ადამიანებს აცილკევებს, რომელიც მათ ისეთს მარტო ხელს, სუსტსა და უბედურსა ჰხდის.

მამამ ხელი საშკას კისერს უნებურად დაადო და თავი საშკას ისევე უნებურად ჰიაყრდნო.

— ეს იმან მოგცა?—წაიჩურჩულა მამამ, ანგელოზს კი თვალს არ აშორებდა.

საშკა სხვა დროს უკმეხის უარის-ყოფით უპასუხებდა, მაგრამ ეხლა იმის სულში პასუხმა თავის-თავად გაიწკრიალა და იმის ბაგეთ განზრახული სიცრუე წარმოსთქვეს:

— მაშ ვინ მომცემდა? რასაკვირველია, იმან მომცა! მამა სდუმდა. საშკაც გაჩუმდა. მეზობელ ოთახში რაღამაც დაიხრიალა, წუთით გაჩუმდა და საათმა გულადად და სიჩქარით დაჰკრა: ერთი, ორი, სამი.

— საშკავ? ჰხედავ ხოლმე სიზმრებს?—ჰკითხა დაფიქრებულმა მამამ.

— არა,—გამოტყდა საშკა,—მაგრამ ერთხელ ვნახე: ბანიდან ჩამოვვარდი; მტრედებს დავდევდი და ფეხი ამისხლტა.

— მე კი მუდამ ვხედავ! კარგია სიზმრები. ჰხედავ ყველა იმას, რაც იყო, გიყვარს, ეტანჯები, თითქოს ფხიზელი...

იგი გაჩუმდა და საშკამ იგრძნო, რომ მამის ხელი იმის კისერზე ათრთოლდა და ლამის ფხიზელი სიჩუმე შეჩერებულ ტირილის სლოკინით დაირღვა; საშკამ წამწამები მრისხანებით დაახამხამა და ფრთხილად, რომ მამის ხელი არ შეეწუხებინა, თვალიდან ცრემლი მოიწმინდა. ასე საკვირველი იყო დიდისა და მოხუცის კაცის ტირილი.

— ოჰ, საშკა, საშკა!—სლოკინებდა მამა:—ყველა ეს... რად არის?

— ჰა, ეგ რა არის?—მრისხანებით წასჩურჩულა საშკამ:—მთლად ბავშვივით იქცევი.

— ჰო, კარგი, აღარა, აღარ—მძიმე ღიმილით მამამ ბოდიში მოიხადა:—ჰოდა რა? რად არის?

თეოკტისტა პეტროვნა თავის ლოგინზე გადაბრუნდა და საკვირვლად ხმა მაღლა წაიდუდუნა: დაიჭი, დაიჭი!“ ძილის დრო იყო. მაგრამ [illegible] ანგელოზისათვის ადგილი უნდა ეშოვნათ, მისი ძირს დადება შეუძლებელი იყო. იგი ბუხრის თავზე ძაფით [illegible] კედელზე ანგელოზი გარკვევით სჩანდა. ასე ორივეს, მამას[illegible] ძლოთ მისთვის ეცქირათ. საშკამ ჩვრები, რომელზედაც იგი წვებოდა ხოლმე, კუთხეში საჩქაროდ მიჰყარა, ასევე საჩქაროდ გაიხადა და პირდაღმა დაწვა, რომ ანგელოზისათვის ცქერა ჩქარა დაეწყო.

— რატომ არ იხდი?—ჰკითხა მამამ, გაყინული დაგლეჯილს საბანში ეხვეოდა და ფეხებზე დაგდებულს პალტოს ისწორებდა...—არა ღირს, მალე ავდგები.

საშკას უნდოდა ისიც ეთქვა, რომ მას სრულებით არ ეძინება, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან ისეთის სიჩქარით ჩაეძინა, თითქოს ჩქარის და ღრმა მდინარის პირში ჩავარდაო. მამამაც მალე დაიძინა. წყნარი სიმშვიდე და აუმღვრევლობა დაეტყო ორ ადამიანის სახეს; ერთისას, რომელსაც თავის სიცოცხლე უკვე მოეჭამა, და მეორისას, რომელიც ცხოვრებას ეხლა იწყებდა.

ცხელ ბუხართან დაკიდებულმა ამხანაგმა დნობა დაიწყო. ლამფა, რომელიც საშკას ჯიუტობით ანთებული დარჩა, ოთახს ნავთის სუნით ავსებდა და გამქვართლულ შუშიდან წყნარ ნგრევის სურათს მოწყენილს შუქს აყენებდა. ნავთის სუნს ფიჭის მძიმე სუნიც მიემატა. აი, ანგელოზმა, თითქოს გასაფრენადო, შეიფთხრიალა და ცხელს ფილაქანზე რბილის ბაკუნით დაეცა... ცნობის მოყვარე პრუსაკმა—თაგუნამ—უყალიბო კუშს გარშემო შემოურბინა, ქათიბი შეიტრუსა, ჭრიჭინის ფრთებზე აცოცდა, ულვაშები შეათამაშა და გაიქცა.

ფარდა ჩამოფარებულს ფანჯრიდან დილის მოლურჯო შუქი შემოიპარა და ეზოში წყლის გაყინულმა მზიდავმა თავის რკინის ვედროები უკვე დაახრახუნა.

ი. ფხ—შვილი.

## ტფილისი, 25 დეკემბერი.

ეს მეოთხე წელიწადია, რაც რუსეთი გლოვითა და ცრემლებით ეგებება დიდ საქრისტიანო დღესასწაულს. „ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებისაგან“ ყოველთვის შორს იყო მრავალტანჯული ხალხი, მაგრამ ის, რაც ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ხდება რუსეთში, პირდაპირ საშინელებაა. [illegible]და-მიწა გაჟღენთა ადამიანთა სისხლითა და ცრემლით, მაგრამ დასასრული მაინც არ უჩანს ქვეყნის ტანჯვა-ვაებას...

გადაათვალიერეთ მარტო გუშინ მიღებული სტახტო ქალაქის გაზეთები და თქვენთვის ცხადი იქნება ის საშინელება, რომელშიაც ცხოვრობს თანამედროვე რუსეთი. აი მოსკოვის გაზეთების ქრონიკა 19 დეკემბრისა:

**ვლადიმირი**. სამხედრო-საოლქო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ფროლოვს, ზუბოვსა და ბორევს.

**ხარკოვი**. დამტკიცებულ იქმნა განაჩენი, რომლით კარპოვსა და გრინევს სიკვდილით დასჯა მიესაჯა. ოსადჩის სიკვდილით დასჯა შეეცვალა უვადო კატორგით.

**პენზა**. ცხრა კაციდან, რომელთაც სიკვდილით დასჯა მიესაჯა, სამმა თავი მოიკლა ციხეში.

**რიგა**. შარშან გლეხებმა სტოლოვმა და ხორკინმა ერთი თუმანი მოსტაცეს მედუქნეს. ახლა სასამართლომ პირველს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მეორეს 15 წლის კატორგა.

**ვარშავა**. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს კაზიმირჩუკს, კვარცერს, ორ ძმას პოჩეკაილოს და კონშინს.

**ვილნო**. წუხელ საპატიმროში ჩამოახრჩვეს ავდაშკო.

სულ ხუთმეტი მსხვერპლი. საკმარისი არაა ერთ დღისთვის?.. ახლა, ცოტა ქვემოდ წაიკითხეთ შემდეგი ცნობა: „საპატიმროთა მთავარი მმართველობის სჩივის, საპატიმროები მეტის-მეტად ავსილიაო. სულ 1907 წელს ევროპის რუსეთში 140 ათასი კაცი ზის საპატიმროებში. რა პირობებში ცხოვრებენ ესენი, საკმაოდ გვეუბნება ის ფაქტი, რომ უმთავრესი რიცხვი საპატიმროებისა აშენებულია 1825 წლამდე და ყველგან ერთი ორად და სამად მეტია დამწყვდეული, ვიდრე ადგილია“... გაიხსენეთ ახლა ისიც, რომ ჩრდილოეთ რუსეთსა და ციმბირს არასოდეს არ ყოფილა იმდენი ადმინისტრა-

ტიული გადასახლებული, რამდენიც ახლაა და რომ მრავალი ამათგანი შიმშილისა და სიცივისაგან იხოცება... გადაავლეთ შემდეგ თვალი „დამშევის ქრონიკას“. უკვე 12 გუბერნიიდან საზარელი ცნობები მოდის ხალხის დამშევაზე...

და ასე ყოველ დღე. ყოველ დღე ამის მზგავს ამბებს ვკითხულობთ გაზეთებში, მაგრამ ნერვები ისეთნაირად დაგვიჩლუნგდა, რომ ყოველ საშინელებას შევეჩვიეთ, აღარაფერი გვაოცებს.

სწორედ ორი წლის წინად, ამ დროს, დატანჯულ რუსეთის ხალხთ იმედმა გაუღიმა; ძირს დაშვებული საშინლად შავი ღრუბლები ერთის წუთით გაანათა ახალმა სხივმა. ქვეყანამ თავისი სვე ბედი ჩააბარა თავის „საუკეთესო შვილთ“ და სიხარულით ცას ეწეოდა: კიდევ ცოტა მოთმინება და ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქავს: რამდენათმე მაინც ნორმალურ ცხოვრების პირობები დამყარდებაო. მაგრამ, მოკლე იყო ეს სიხარული, ვითა სიზმარი; ღრუბლები კიდევ უფრო დაეშვენ ძირს და აი მხოლოდ გუშინ ის „საუკეთესო შვილნი“ დამნაშავეთა სკამებზე იხსხდნენ და დღეს-ხვალ იმ საპატიმროებში უნდა ჩაისხდნენ, სადაც ყველაზე მეტად მოელოდნენ მათგან შველას და ხსნას. წინანდელურად მძვინვარებს რეაქცია, კვლავ „მუშაობს“ სახრჩობელა, კვლავ იღვრის ადამიანთა სისხლი, ისევ ცრემლებითაა გაჟღენთილი მთელის რუსეთის ნიადაგი...

და ის ოფიციალური რუსეთი, ის „მმართველი კლასსები“, რომელთაც ამ საშინელებამდე მიიყვანეს ქვეყანა, დღეს ყველაზე უფრო ხმა-მაღლა დიუყვირეს დიდებას და ქებას იმ.ს, იმ დიდებულს მასწავლებელს, რომელიც ქვეყანაზე იშვა მაშვრალთა და წამებულთა სახსნელად და კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოების დასამყარებლად; სწორედ დღეს გაისმის ხმა მაღალი ვედრება იმ ფარისეველთა, რომელთაც ხელთ უპყრიათ სახრჩობელას თოკი და საპატიმროთა გასაღები.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო

—

**კანონ-პროექტის დამტკიცება.** როგორც გადმოგვცემენ, ხელმწიფეს დაუმტკიცებია სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი 1907 წელს დამშეულთა სასარგებლოთ 15 მილიონ მანათის გადადების შესახებ.

**შეკითხვები მესამე სათათბიროში.** შეკითხვების კომისიას ჯერ-ჯერობით ორი შეკითხვა მიუღია; ერთი შეკითხვა მკუთვნის მემარჯვენე დეპუტატებს და უნივერსიტეტებში მომხდარ არეულობას შეეხება. მესამე კი, რომელზედაც 30 დეპუტატს უწერია ხელი, პურის გაძვირებას შეეხება. კომისიის მდივნის, ლიუვის აზრით, პირველი შეკითხვა მისაღებიც არის და მასზე პასუხის გაცემაც ადვილია. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, საქმე სხვანაირად არის. საზოგადოთ, ყოველნაირი შეკითხვა ორ ნაირ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედება ცხადათ უნდა იყოს აღნიშნული, ან კიდევ გამორკვეული უნდა იყოს, რომ ეს თანამდებობის პირნი რაიმე საზოგადოებრივ უბედურების თავიდან ასაცილებლად ენერგიულ ზომებს არ იღებდნენ. სათათბიროში შეტანილი მეორე შეკითხვა არც ერთს ამ პირობას არ აკმაყოფილებს და ამიტომ მასზე პასუხის გაცემაც ძალიან ძნელიაო, დასძენს კომისიის მდივანი.

# ახალი ამბავი

—:—

✦ **თავდასხმა.** 22 დეკემბერს, დილის 6 საათზედ, დიდუბის მცხოვრებნი რკინის გზის სახელოსნოს მუშების ბრიგადირი „ტოკარნი ცეხისა“ მიხეილ კაშერინი, ზეინკალი ვასილ კოროლი, ვასილ ტესლინი, ფილიპე ვერეშჩაგინი და ზაქარია ჯიოევი სახელოსნოებთან, აბანოს მახლობლად მიდიოდნენ. მათ გარს შემოერტყნენ ვიღაც უცნობნი და ასტყდა სროლა. იქვე მოჰკლეს მიხეილ კაშერინი, ხოლო დანარჩენნი მძიმედ დასჭრეს. გამოძიებას შეუდგა რკინის გზის ჟანდარმერია. გაჩხრიკეს აღნიშნულ უბანში რამდენიმე სახლი. თავ-დამცემნი მიიმალნენ.

✦ **მატარებელზე თავდასხმა.** ბაქოს შტოზე, ყარაიაზის მახლობლად, 21 დეკემბერს ვიღაცებს განუზრახავთ საფოსტო მატარებლის გაძარცვა. ამ აზრით, 30 საჟენის მანძილზე ლიანდაგი გაუფუჭებიათ. ეს ამბავი, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, წინადვე გაუგიათ, ამიტომ საფოსტო მატარებლის წინ გაუშვიათ სხვა მატარებელი, რომელზედაც რაზმი ყოფილა. გადავარდნილა მხოლოდ ორთქლმავალი და ერთი ვაგონი. ატეხილა სროლა თავდამსხმელთა და რაზმს შორის. უცნობნი რაზმს არ მოელოდნენ და გაიქცნენ თურმე. იქვე ხიდზე უნახავათ ჯოჯოხეთის მანქანა. მსუბუქად დაშავებულა შვიდი სალდათი. იმავე დღეს ტფილისიდან წავიდა მატარებელი ექიმებით, ჟანდარმებით და მსროლელებით.

✦ **თავდამსხმელის მოკვლა.** ტფ. სადგურთან, მოედანზე მიმავალ ქუთაისის მცხოვრებს ივანე ტაბუკაშეს თავს დაეცა სამი კაცი, წააქცია იგი მიწაზე და დაუწყო ჩხრეკა. ამ დროს უცნობებს თავს წაადგა პოლიციელი, რომელსაც უცნობებმა ორჯელ დაახალეს რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს. პოლიციელმა ერთი მოჰკლა. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა ბებუთი. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ **კონცერტი.** ოთხშაბათს, 26 დეკემბერს, დილის 12 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ გონსიორსკი, გოროდეცკი, ივანოკი, საადოვი, ცხომელიძე, ნიკოლაევი, განსიორსკისა, ბალაევი, მანდოლინისტთა ხორო და სხ. როგორც პროგრამიდან სჩანს, კონცერტი მეტად საინტერესო იქნება.

✦ **ლექცია.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში 26 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ა. ჩეხოვზე ლექციას წაიკითხავს ნ. ს. დერჟავინი.

✦ **„ნიშადურის“ კრებული.** მოგვივიდა ჟურნალ „ნიშადურის“ მიერ გამოცემული კრებული (№ 1). კრებულში მოთავსებულია ლექსები, პატარა მოთხრობები, ამბები, თარგმანები, ესკიზები ევდოშვილისა, თ. ხუსკივაძისა, ალ. სარაჯიშვილისა, მელიტონ გობეჩიასი, ი. მჭედლიშვილისა, ნარ-კანისა, თ. პუსასი, თ. მაგმაძისა, დ. ნ—ისა და სხვებისა. ფასი 15 კაპ.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრის მოკვლა.** განჯაში ვიღაცებს ქუჩაში მოუკლავთ ადგილობრივ ქალაქის გამგეობის წევრი ისრაფილბეგოვი.

✦ **უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად** (ალექსანდრ. ბაღი) მიღებულია დეპეშა პროფ. ალ. ხახანაშვილისაგან, რომ მისი მოსვლა ტფილისს გადიდო 27-ს დეკემბრამდისათ. პირველი ლექცია დანიშნულია პარასკევს 28 დეკემბერს, სადამოს 6 საათისთვის.

✦ **ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა** დაინიშნა 28 დეკემბრისათვის.

✦ 24 დეკემბერს, ნაშუაღამევის 8 საათზედ, სპარსეთის ქვეშევრდომმა არამ კისა-კოლი-ოღლიმ განაცხადა პოლიციაში, რომ ქალაზიიდან ქურდებმა 400 მანეთის ნივთები მოიპარესო. ეჭვი მიიტანეს მარტიროსიანცზე. მას აღმოაჩნდა რევოლვერი და პატრონები. გაჩხრიკეს ყავახანა სპარსეთის ქვეშევრდომის ბოღოს მაზუიანცისა. იმასაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ორივე დააპატიმრეს.

✦ ნაძალადევში ფერეზოვსკის სახლში მცხოვრებ ტიმოთე კრუგლის 23 დეკემბერს საღამოთი შევარდნია სამი შეიარაღებული კაცი. უცნობებმა გაიტაცეს 87 მან. ნივთები. კრუგლის მეორე დღეს თავის სახლის წინ უნახავს პასპორტი სოლომონ მგალობლიშვილის სახელზე.

✦ ნავთლუღში ბარბარეს ქუჩაზე 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, 6 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა სამსონ წვეროვს და მუქარით ფული მოსთხოვა. როდესაც წვეროვი მეორე ოთახში გავარდა და მორთო ყვირილი, უცნობებმა კასიდან ამოიღეს 100 მან. და მიიმალნენ.

✦ ავჭალის ქუჩაზე 23 დეკემბერს, საღამოს 9 საათზედ, 2 კაცი თავს დაეცა გალუსტ იავრიანცს, წაართვეს ვერცხლის ქამარი, ხანჯალი, რევოლვერი, ნაბადი და ფულად 5 მან. 78 კაპ.

✦ 22 დეკემბერს გუნიბის ქუჩაზე მცხოვრებ მიხეილ პრიტულს ღამე ქურდებმა 401 მანეთის ნივთები მოჰპარეს.

# პრესსა

—:—

პორტ-არტურის გმირებისა და ვიბორგის მოწოდების საქმეებზე საზღვარ-გარეთის პრესსაც ალაპარაკდა. რუსულ გაზეთებში ზოგიერთ მათგანის აზრებიც არის მოყვანილი.

სტესელისა და იმის ამხანაგების საქმე განაახლებს თუ არა რუსეთის არმიას?— კითხულობს Frankfurter Zeitrung,—პატრიოტიზმსა, ეროვნულ სიამაყესა და განახლებაზე არასოდეს არ ულაპარაკნიათ იმდენი, რამდენსაც დღეს ლაპარაკობენ მაგრამ ამაში ჭეშმარიტ გრძნობას ჩვენ ვერა ვხედავთ, რადგანაც ეროვნულ ხასიათსა და პატრიოტიზმზე ჩვეულებრივად ყველაზე მეტად ისინი ჰყვირიან, რომელნიც ძველ წესწყობილებისაკენ იწევენ და რუსეთის განადგურებას ხელს უწყობენ. გამოპრუნება და გამოცოცხლება ზევიდან ბრძანებით კი არ მოხდება, არამედ ხალხის აღზრდით თავისუფლების ნიადაგზე.

რუსის კონსერვატორებს კი ჰგონიათ, თუ სტესელი პასუხის-გებაში მიეცით, ამით დავამტკიცებთ, რომ დამყაყებული ბიუროკრატიული წეს-წყობილება არც ჩვენ მოგვწონსო.

***

ვიბორგის მოწოდების საქმის შესახებ სწერს ინგლისური გაზეთი Darily News. ამ პროცესს 193-ის პროცესს იდარებს და დასძენს:

ვანსხვავება იმაშია, რომ მაშინ ახალგაზრდა კაცებს ასამართლებდნენ, ეხლა კი დარბაისელ ადამიანებს, აზნაურებს, პროფესორებს, რომელთაგან ბევრს ევროპაც კი იცნობს. ისინი ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და დღესაც მორალურად ხალხის წარმომადგენლებად ითვლებიან, რადგანაც ხალხის დამოკიდებულება მათდამი არ შეცვლილა. სამინისტროს დამოკიდებულებანი პირველ სათათბიროსთან იყო სრული უარყოფა იმ უფლებათა, რომლებიც მონარქმა 1905 წელს ხალხს მიანიჭა. სამინისტრომ იმითი დაიწყო, რომ სათათბიროს ხელთათმანი ესროლა და მერე სისტემატიურად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. მთავრობამ არავითარი საშუალება არ მისცა სათათბიროს, რომ კანონის ფორმაში ჩამოეყალიბებინა ის ძირითადი უფლებანი, რომელიც ხალხს მიანიჭეს.

ასე მსჯელობს ინგლისური გაზეთი პირველ სათათბიროსა და სამინისტროს შესახებ.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**თელავი.** ათის წლის წინად მომხდარ საყოველთაო აღწერით თელავში 14 ათასი მცხოვრები ითვლებოდა. რასაკვირველია, ეხლა ბევრით მეტი იქნება; მცხოვრებთა უმრავლესობა შეუძლებელ მშრომელ კლასს წარმოადგენს და ამოდენა ხალხის უპატრონოდ დატოვება ცოდვად უნდა ჩაითვალოს. ქალაქს არა აქვს ერთი საწოლიანი საავადმყოფოც-კი, რომ გაჭირვების დროს გამოიყენოს, ერთი აფთიაქის გახსნაც ვერ მოუხერხებია, რომელიც თუ შემოსავალს არ მისცემს, შეუძლებელ მცხოვრებთ მაინც უფასოდ დაეთმობა წამალი. არა ჰყავს ექიმი, ქუჩები ხომ სოფლის ორღობეებს არაფრად ჩამორჩება, შეკეთება თავის დღეში არ ეღირსება, ავდარში წუმპე-ტალახად გადაიქცევა, დარში მტვერ-ბუქად. განათება არ არის, სანიტარულ მხარეზე არას ვიტყვი, სწავლა-განათლებით ხომ ცხადია როგორ ჩამორჩენილია, ერთი ვაჟების პროგიმნაზია არც-კია ამოდენა ქალაქში, არც მცხოვრებთა პირველ უსაჭიროეს სანოვაგეს ექცევა ყურადღება და სხვა და სხვა.

რასაკვირველია, ქალაქზე ზრუნვა ქალაქის რწმუნებულთა საქმეს შეადგენს, ამ თანამდებობას-კი ყველა გაურბის და ვისაც უკისრია, მასაც მხოლოდ სახელით. ათ წელზე მეტია თელავის მცხოვრებნი თავიანთ წარმომადგენელთა მეოხებით განაგებენ ქალაქს და ვერ ვიტყვით ამ ხნის განმავლობაში იოტის ოდენა გაკეთებული იყოს რამე. არც ერთხელ მამები თავიანთ თანამდებობას არ შეეფერებოდნენ. მარშან, სწორედ ამ დროს ახალი გამგეობა შესდგა, იმედი გვქონდა, ინტელიგენტები მოჰყვნენ, ქალაქს წინამძღოლობა დაეტყობაო, მაგრამ მწარედ შევცდით და ამის ნაცვლად წლის თავზე ხმოსანთა ლიკვიდაცია ხდება.

რამდენიმე თვეა ქალაქის რწმუნებულთა კრება ვეღარა სდგება მათის დაუსწრებლობისა გამო. სამაგიეროდ, თხოვნები ერთი მეორეზე შეაქვთ თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. მიუხედავად თხოვნის და დამუქრებისა (ვინც არ დაესწრობა, კანონის ძალით მოვექცევითო), მაინც 18 დეკემბერს რწმუნებულთა საკმაო რიცხვი არ შეიკრიბა. სამწუხაროდ იყო ეს უკანასკნელი კრება, უფერული იყო ხმოსანთა მსჯელობა. რადგან ამის შემდეგ კანონიერი კრება ვეღარ შესდგება მოურავის მოადგილემ (ეს ერთი წელიწადია აღარც მოურავი ჰყავთ) უნდა აწარმოოს ქალაქის საქმეები, ამისათვის დამსწრეთ კერძო თათბირი იქონიეს ამ საღამოსთვის დანიშნულ საქმეების გადასაწყვეტად. კიდევ ერთი ქალაქის რწმუნებული გ. კოსტიკოვი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, ამავე დროს ხმ. კ. კურდღელაშვილმა და ბეგიჯანოვმა შეიტანეს გასვლის თხოვნები. ამ საღამოთივე განიხილეს ხმ. ვ. პაატაშვილის განცხადება ილია ჭავჭავაძის სახელობაზე ერთის სტიპენდიის დაარსების შესახებ სამოქალაქო სასწავლებელში და ორ ქუჩას დაერქვას ჭავჭავაძის და ყვარლის სახელებიო. ეს წინადადება მიიღეს.

ქალაქის საქმეებს მომავალშიც არ მოელის სიკეთე. ახალი არჩევნები დღეს თუ ხვალ დაინიშნება; საჭიროა ცარიელ ლაპარაკს თავი დაანებონ და თელავის მოწინავე კაცებმა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. **დაგვიწყებული.**

—

**ს. გურჯაანი** (კახეთი). გურჯაანი დამშეულია. დამშეულია ის 400 კომლი გლეხი, რომლის ფქვილის გოდორს ეს ექვსი თვეა წისქვილში დაფქვილი არა ღირსებია. საშინელი სიძვირეა, რასაც მოხუცნიც არ მოსწრებიან. ფქვილი ფუთი 2 მ. 80 კ., სიმინდი ფ. 1 მ. 50 კ., ხორბალი კოდი (3 ფ.) 6 მ. 50 კ., კვერცხი ასი 2 მ. 50 კ. ქერი ფუთი 1 მ. 80 კ., ნავთი ფ. 2. 60 კ. ყველაზედ იაფი ღვინოა, რომელიც საუკეთესო თვისებისა საპალნე (48 ვედრო) ძალიან ბევრი 40—50 მან. იყიდება და საშუალო კი 30—35 მან. საქონელი უსაჭმლობისგან ლამის არის სულ დაიხოცოს. ჯერ ასეთი გაჭირვებაა და უყურეთ თებერვალში რა იქნება. ქურდობა ცოტათი მისწყდა (ან კი რაღაა მოსაპარი?), რაც ბელადები გადაასახლეს. გურჯაანის გლეხ-კაცობას ჯერ კიდევ კისერზედ აწევს შესანახად მთავრობის ძველი 10 სტრაჟნიკი და მისგანვე დაყენებული მამასახლისი. ალაჰმა უწყის, ნეტავ რისთვის არიან აქ და ვის ყარაულობენ! ის ფული, რომელსაც გაძვალტყავებული გლეხ-კაცობა ამათ აძლევს, სკოლას რომ ხმარდებოდეს, რომელიც სასაცილო და მასთან სამწუხარო მდგომარეობაშია, მართლა რომ მალე აყვავდებოდა. ცნობილი მოვაჭრე დიანოზ ცისკარაშვილი, რომელმაც, თუ მკითხველს ახსოვს, ივლისის დამდეგს სასოფლოდ მოჰკლა სოც. ფედერალისტი დათა ოდილოშიშვილი, ჯერ ისევ ციხეშია და თუმცა 1,000 მან. თავდებით ათავისუფლებენ, მაგრამ შიშით არ გამოდის. აი, ერთად ერთი კაცი, რომელიც თავის ნებით ზის ციხეში ამ დროს!.. პირველ ნოემბრიდან აქ ნიკ. ახმეტელაშვილის თაოსნობით გაიხსნა სამკითხველო. **გიგა გურჯაანელი.**

# რუსეთი

—:—

✦ **საქმე კიევის „პოგრომის“ შესახებ.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კიევის „პოგრომის“ შესახებ უკვე საქმე სწარმოებს. საინტერესო ჩვენება მიუცია ინჟინერს მატიუშენკოს. როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, მატიუშენკოს განუცხადებია: ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში პატრიოტული მანიფესტაციები იმართებოდა, მანიფესტანტებს ბაირაღები და ხელმწიფის სურათები დაჰქონდათ.

საშინელი ღრიანცელი და რაღაც ველური ჟივილი იდგა. გამვლელ-გამომვლელებს სცემდნენ. როდესაც „პოგრომი“ დაიწყო, პოლიციელები და პატრული სრულიად უმოქმედოთ იდგნენ და ისე გულ-დამშვიდებული შესცქეროდნენ ხოცვა-ჟლეტას, თითქოს იქ არაფერიც არა მომხდარიყოსო. მე თითონ, — განაცხადა მოწმემ, — რამდენჯერმე უკვე ვაქციე მანიფესტანტები, ჩემი მუნდირის დანახვა ხშირად საკმარისი იყო, მანიფესტანტები რომ შიშის ზარს მოეცვა და გაეფანტა. რა იქნებოდა, პოლიციასა და ადმინისტრაციას ენერგიული ზომები მიეღო და საშინელ ტრაგიულის უბრალო მაყურებლად არ გადაქცეულიყო? მატიუშენკო დარწმუნებულია, რომ „პოგრომის“ გაძლიერებას პოლიციის უმოქმედობა ძალიან უწყობდა ხელსაო.

✦ **ოდესის გრადონაჩალნიკი.** ოდესის გრადონაჩალნიკს ტოლმაჩევს „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის წარმომადგენლებთან ულაპარაკნია და განუცხადებია, ქუჩაში უწესოება აუცილებლად უნდა მოისპოსო. ამასთანავე ერთად სურვილი გამოუთქვამს, რომ პოლიცია განიწმინდოს უმოქმედო ელემენტებისაგან და ისეთ საფეხურზე დადგეს, როგორც საზღვარ-გარეთ სდგასო. რუსთა კავშირის წარმომადგენელთა შემდეგ გრადონაჩალნიკი ებრაელთა წარმომადგენლებს გაასა და სთხოვა, ყველანაირი ღონის-ძიება მიიღეთ, რომ ებრაელებში რევოლიუციონური ელემენტები მოისპოთო.

✦ **„მატიცის“ დაკეტვის გამო.** პოლონურ ორგანიზაციის „მატიცის“ დაკეტვამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს პოლონეთზე. ამ განდალიზმმა საყოველთაო პროტესტი გამოიწვია როგორც „რუსკ. სლ.“ გადმოგვცემს, ვარშავის მახლობლად, ვოლიაში, პოლიციას დაუტუსაღებია ორი ქალი ერთი 17 წლისა, მეორე კი — 18, რომლებიც „მატიცის“ დაკეტვის გამო დაბეჭდილ პროკლამაციებსავრცელებდნენ.

✦ **შიმშილი.** შიმშილი რუსეთში დღითი-დღე იზრდება. კამენეც პოდოლის გუბერნიაში, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, უკვე შვიდი მაზრა დამშეულა. უფის გუბერნიაში სამაზრო ერობამ უკვე დაიწყო მუქთად პურის დარიგება; იმავე გუბერნიიდან იწყებიან, რომ ტელიუშისა ჩისტოპოლისა და უფის მაზრებში საშინელი შიმშილობა დაიწყოო. ასეთსავე ამბავს იწერებიან სამარიდან და რუსეთის სხვა ადგილებიდან. შავი ახრჩილი შიმშილისა მთელის თავის საშინელებით დგას აღმართული რუსეთის წინ. დახმარება კი არსაიდან სჩანს.

✦ **გაფიცვა ნოვოროსიისკში.** რუსულ გაზეთებში [illegible] და ცნობები ნოვოროსიისკის გაფიცვის შესახებ. გაფიცვა ერთი თვე გაგრძელებულა და ერთ მილიონ მანათზე მეტი ზარალი მიუყენებია. ნოვოროსიისკი დიდი ნავთსადგურია და, ეხლა გარემეა, ერთი თვის გაფიცვა მისთვის ძალიან საზარალო იქნებოდა. გაფიცვის მიზეზი შემდეგი ყოფილა. ერთი თვის წინათ გენერალ-გუბერნატორს გამოუცია სავალდებულო დადგენილება ნავთსადგურისა და რკინის გზის რეგისტრაციის შესახებ. ეს რეგისტრაცია გამოიხატება იმაში, რომ თვითეულ მუშას თავისი პასპორტი ნავთ-სადგურის გამგეობაში უნდა წაედო, იქ მუშის სურათი უნდა გადაეღოთ და სურათისა და პასპორტის მაგიერად მიეცათ ნომრიანი ნიშანი, რომელიც ყოველთვის თან უნდა ეტარებინათ. მუშებს უარი განუცხადებიათ ასეთ უაზრო დადგენილების შესრულებაზე, და უთქვამთ, ჩვენ თავისუფალი მოქალაქენი ვართ და ამაზე ვერ დავეთანხმებითო. დაწყებულა გაფიცვა. კომერსანტები შემოხვეწიან და მუშებისთვის მოწოდებით მიუმართავთ, მაგრამ ხვეწნას და მუდარას ამათ ნაუკლია. ეხლა, როგორც „რუს. ვედ.“ გადმოგვცემს, ადმინისტრაციას ჩვეულებრივ ზომებისთვის — რეპრესიებისთვის — მიუმართავს: აპატიმრებს მუშებს და სხვა.

✦ **მუშების დეპუტაცია.** ორენბურგის გუბერნიიდან, როგორც „რეჩ“-ი გადმოგვცემს, პეტერბურგში ჩასულან წარმომადგენლები ქარხნებისა, რომელიც ბელოსელსკი-ბელოზერსკების ეკუთვნის. ამ ქარხნებში თოთხმეტი ათას კაცზე მეტი მუშაობს. ადმინისტრაციას ამ ქარხნის დაკეტვა გადაუწყვეტია, ასე რომ 40 ათას სულზე მეტი ულუკმა პუროდ დარჩებოდა. მუშებს აურჩევიათ წარმომადგენლები და პეტერბურგში გაუგზავნიათ იმის სათხოვნელად, რომ ქარხნები არ დაკეტონ და აურაცხელი ხალხი უსახლკაროდ არ დასტოვონ. როგორ პასუხს გასცემენ ამ დეპუტაციას, ჯერ არავინ იცის.

✦ **ძველებურ ჭანჭიკზე.** ოდესსაში ისე ახალი გრადონაჩალნიკი არ დაინიშნება, რომ თათბირი არ გამართოს და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები არ მოიწვიოს. დეპუტაცია დეპუტაციაზე იგზავნება, გრადონაჩალნიკი ჰპირდება, ყოველნაირ ზომებს მივიღებ, რომ ქალაქში უწესოება მოისპოსო და სხვა ამნაირები, მაგრამ მეორე დღესვე ისევ დაუწყებენ ხულიგნები თარეშობას „ძავრახმელთა სოიუზნიკები“, სცემენ ებრაელებს, სტუდენტებს, ცხადად არღვევენ წესიერებას, ადმინისტრაცია კი ხელს უწყობს მათ ან, უკეთეს შემთხვევაში, სდუმს. ასეთსავე ჭანგებზე მღერის ოდესსის ახალი გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი, რომელსაც პრესის წარმომადგენლებისთვის განუცხადებია, ეროვნულ ბრძოლას ქალაქში აუცილებლად მოვსპობო. ვგონებთ ეს სიტყვები მხოლოდ ჩვეულებრივ «სიტყვებად» დარჩება.

✦ **შიმშილი.** „რუსკ. სლ.“ გვატყობინებს, რომ რუსეთის ზოგიერთს ადგილებში შიმშილისაგან ათასნაირი ავადმყოფობა გაჩენილა. მინსკის საგუბერნიო ადმინისტრაციას ცირკულიარებით მიუმართავს ადგილობრივ ადმინისტრაციისთვის და შეჰკითხებია, რამდენად მართალია გავრცელებული ხმები, და თუ მართალია, რა ადგილებში უფრო ძალიან ემჩნევა შიმშილიო. სხვა და სხვა მაზრებიდან საგუბერნიო ადმინისტრაციას მიუღია წერილები ექიმებისაგან. თითქმის ყველანი ადასტურებენ გავრცელებულ ხმებს და ამბობენ, ყველგან საშინელი შიმშილობაა, მართალია სოფლე არ გავრცელებულა, მაგრამ საზოგადოთ კვება კი შემცირდა, რაც ავადმყოფობას იწვევსო.

✦ **ინსტიტუტის გადატანა.** ახალ ალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს კალუგინს საგუბერნიო საერობო კრებაზე აღუძრავს საკითხი, რომ ზემოთ-დასახელებული ინსტიტუტი კიშინიოვში იქმნას გადატანილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ბგალიშვილი.

## განცხადებანი

ახალი პიესა, 4 მოქმ. დრამა:

„შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა“

ფასი 30 კ.

ნატალია გიგაურისა.

იყიდება: „წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში“, ქუთაისში—ი. კვიცარიძესთან „იმერეთში“ და მეუნარგიშვილის მაღაზიაში.

(2—533—1)

გადათარგმნილია

ტურგენიევის „Отцы и Дѣти“, ვთარგმნება „Дворянское гнѣздо“, „Рудинъ“ და „Наканунѣ“ და ვთხოვ ნურავინ გაირჯება და ნუ ისურვებს მათს გადათარგმნას.

(2—533—1)